2-3182/21
12-03-2021

საქართველოს პარლამენტის პარლამენტის ბიუროს

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

გაცნობებთ რომ, მიმდინარე წლის 10 მარტს, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ,,სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპის ბაზარზე" თემატური მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის თაობაზე.

,,სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპის ბაზარზე" შემსწავლელი თემატური მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობაში შევიდნენ ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრები: მაკა ბოჭორიშვილი, მარიამ ქვრივიშვილი, მიხეილ დაუშვილი და თამარ ტალიაშვილი.

ასევე, მიმდინარე წლის 10 მარტს აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამავე საკითხზე თემატური მოკვლევის დაწყებისა და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად ერთსა და იმავე საკითხზე მოკვლევის ჯგუფის არსებობის შემთხვევაში ბიურო იღებს გადაწყვეტილებას მოკვლევაში მონაწილე პარლამენტის წევრების გაერთიანების შესახებ.

გთხოვთ, რეგლამენტის 155-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება ორი კომიტეტის თემატური მოკვლევის ჯგუფის გაერთიანების შესახებ.

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მარიამ ქვრივიშვილი